ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.

ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ., მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ"
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთ დღევანდელ ნომერთან ურიგდებათ პატარა წიგნაკი „თავ. ილია ჭავჭავაძე", ნადიკვრელისა

იაპონეთის საუცხოვო ნივთები

ეს არის ეხლა მივიღეთ სხვა-და-სხვა ფაიფურები (ეტაჟერკები) მოხატული და მოვარაყებული

მრავალი **ყუთები**, **ლარნაკები** (ვაზა), **ეკრანები**, **მარაოები**, **ფარნები**, **ხონჩები**, **საწერლები**, **საფერფლე**, **ფარდები**

ხმლები, მოხუჭურთმებული ქვლებში

✦ ოთახ-დარბაზების მოსართავი ნივთები და სამკაულები ✦

იქვე ისყიდება ჩინეთის

ჩესუნჩა და **ფანზა**

ეს ყოველივე მოიკითხეთ

„აღმოსავლეთის მაღაზიაში"
იოსებ მერკვილაძესთან

ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.

„Восточный магазинъ"
I. Мерквиладзе
Прошу убѣдится въ изяществѣ
ЯПОНСКИХЪ ВЕЩЕЙ
Лорисъ-Меликовская ул. № 4. (30 - 20)

გამოვიდა და ისყიდება
წ.-კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხან. მაღაზიებში

გლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა
თარგმანი **ივ. მაჭავარიანისა**

ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.
ფასი თითო ნაწილისა **სამი აბაზი**.
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.

იქვე ისყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები

ბრჭყალები,
3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კ.

ივდითი,
ტრაგედ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, ფასი 30 კ.

ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაუთმობს. (30—17)

წიგნის მაღაზია
მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „**გლეხის**" ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **ღ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში

წიგნების და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველ-გვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას-ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაუთმობთ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლია მოგვმართოს შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (10—5)



აუარებელი რიცხვი
საკერავი მაშინებისა

ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.

პირველი ხარისხოვანი და საკანგებო

ველოსიპედები

(თვით-მავალნი)

ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან

ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით

✦ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ✦

ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვისა
და კამ.
ტფილისი
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349

Торговый домъ
С. П. Павлова и К-о
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин
Телефонъ 349

Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
ВЕЛОСИПЕДОВЪ
(100 - 22)

✦ მთავრობის ნება-რთვით ✦

მე გავხსენ ქ. ტფილისში, მიხეილის ქ. № 101

საქალებო პროფესიონალური

სკოლა,

რომელშიაც მოწაფეთ შეასწავლიან: ხატვას ფარფორზე და ატლასზე და აგრეთვე ხეზე სურათების ამოჭრას; ძვირფასს ხელ-საქმეებს: ქაღალდისა, გუტაპერჩისა და ტყავის ყვავილების კეთებას. სხვა-და-სხვა საუცხოვო ქარგვას, კერვას და სხვ. ამას გარდა შეასწავლიან ქალებს ტანისაცმელის ჭრასა და კერვას.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ ჩემს სკოლაში ყოველ-დღე, დილის 9 საათიდამ საღამოს 5 საათამდე. ამასთანავე ვიღებ ყოველ-გვარ შეკვეთებს. (3—3)

პატივისცემით ე. ალმაზოვისა

განიხვრა და დაფასება

ტყიან მამულებისა

დაფასება სამეურნეო შემოსავლისა

მამულის გეგმის შედგენას და სხ. კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე **სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26.

Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—8)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки. (100—5)

საჭიროა 50

კარგად დახელოვნებული მეტივე მდ. კოდორზე (აფხაზეთში) სამუშაოდ

მუშაობა სამს წელიწადს გასტანს.

ვინც იკისრებს მეტივეების შოვნას, ვსთხოვ პირობები წერილით შემოსთვალოს სოხუმში (Сухумъ. Виссаріону Гваліа). ან და თვითონ მობრძანდეს ადგილობრივვე შესატყობად ყველა პირობებისა.

გზის ხარჯს ჩვენა ვკისრულობთ. (10—6)

იძლევა ქირით და ფასითაც ორ-სართულიანი სახლი

12 ოთახი თავის მოწყობილებით და სამზარეულოთი
ვერაზე, მატერიალნი ქუჩა, ბუხრაძის სახლი,
პირობების შეტყობა იქვე. (3—3)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულიძისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერატუროვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში. ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.

მიიღებს აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებს სადგომად და საცხოვრებლად.

პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)

მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ.—3 საათამდე

Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловская ул. № 146

Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ. (150—139)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ა. გერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.

20 მაისიდამ — დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი**.

თვალების ავადმყოფობას — **ი. ა. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და საქისთვის. სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება
წმინდისა დიდისა მოწამისა

ევსტატისა

და სახლეულთა მისთა
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა
ფასი ერთი შაური (10—5)

კანონი და მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ კაპიტნობა შტაბს-კაპიტნებს: მინგრელიის გრენადერის რაზმის თავად ვაჩნაძეს, კავკასიის 1 მსროლელთა რაზმისა თავად ფავლენიშვილს, ფოთის ზურგის რაზმისა — ჩხეიძეს, მიხეილის ციხის ქვეითა ბატალიონის კიდიაშვილს, აბშერონის ქვეითა მე-81 რაზმისა ოდიშელიძეს, ქემსკიის მსროლელთა რაზმისა თავად წულუკიძეს.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და უბოძა ორდენი.

წმ. მოციქულთ-სწორის თავადის ვლადიმირის მე-3 ხარისხისა თემირხანშურის ზურგის ბატალიონის უფროსს, პოლკოვნიკს ივანე გედევანიშვილს.

წმ. ანნა მე-2 ხარისხისა, კავკასიის გრენადერის არტილერიის ბრიგადის უფროსს თავადს ლეონტი ვაჩნაძეს.

წმ. ანნა მე-3 ხარისხისა; გორის ზურგის რაზმის კაპიტანს ბაქულ მაყაშვილს და კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის კაპიტანს ივანე მუსხელაშვილს.

წმ. სტანისლავა მე-2 ხარისხისა: ტენგინის მე-77 ქვეითა რაზმის პოდპოლკოვნიკს ბესარიონ გაბაშვილს და არტილერიის მე-20 ბრიგადის კაპიტანს კონსტანტინე ქავთარაძეს.

წმ. სტანისლავა მე-3 ხარისხისა: თემირხანშურის ზურგის ბატალიონის შტაბს-კაპიტანს თავ. ნიკოლოოზ თუმანიშვილს; ტვერის მე-43 დრაგუნთა რაზმის შტაბ-როტმისტრს ესაძეს, კურინის მე-79 რაზმის პორუჩიკს გიორგი თულაშვილს.

ებოძა ნიჟეგოროდის მე-44 დრაგუნთა რაზმის პორუჩიკს კობიაშვილს — შტაბს როტმისტრობა.

◆

ახალი ამბავი

⁂ **სათავად-აზნაურო საურთიერთო დასახმარებელი კასები.** შინაგან საქმეთა სამინისტროს-მიერ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ რამდენსამე გუბერნიაში განზრახული აქვთ დააარსონ სათავად-აზნაურო საურთიერთო დასახმარებელი კასები.

⁂ **კლასიკურ გიმნაზიების პროგრამის შეცვლა.** გაზეთები გვაუწყებენ, თითქო განზრახული იყოს კლასიკურ სავაჟო გიმნაზიების შეცვლა ბერძნულ ენის გაკვეთილების გამრავლებით და ლათინურ ენის გაკვეთილების რიცხვის შემცირებით ყველა კლასებში. ამ პროექტს განიხილავენ გიმნაზიების პედაგოგიური საბჭოები და სამოსწავლო ოლქების სამმართველოები.

⁂ **სახელოსნო სასწავლებლის შეგირდების გასეირნება ოქროყანის ზევით.** წარსულ ორშაბათს, ე. ი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს, სახელოსნო მოწაფეებსაც ეღირსათ გასეირნება მასწავლებლებითურთ, აგრეთვე შეგირდებს თან ახლდნენ ამ სკოლის დირექტორი ბ. დანიტოვი და ინსპექტორი ბ. რცხილაძე. დიდი სასიამოვნო აღსანიშნია მათი ასეთი ქცევა, რადგანაც სასწავლებელში არ არსებობს არც ერთი სათამაშო. სადილი თან ჰქონდათ წაღებული. ნასადილევს გაიმართა ბურთაობა და სიმღერა. საღამოს ექვს საათზე შეგირდები დაბრუნდნენ ქალაქში.

⁂ **აღმასრულებელმა სასწავლებლის კომისიამ** იმ სამი სკოლის მმართველებად, რომლებიც მეფე ერეკლე II-ის სახელზე უნდა დაარსდეს, ამოირჩია შემდეგი მასწავლებელი ქალები: ჩაჩიბაია, შანშიაშვილი და ტიმოთეევისა; ხოლო ხსენებულ სკოლის მასწავლებლებად: ქ. ქ. ტულსკისა, ქალანტაროვისა, შტეინი, ბარაბაშევისა და ბარნოვისა.

⁂ **ქალაქის განათება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა გამრავლდეს ქალაქში ფარნების რიცხვი 2,500 დან 3,000-მდე. ამ საგნისათვის გამგეობა თხოულობს სულ 4,000 მანეთს ერთ დროებითი ხარჯად. ყოველ წლიური ხარჯი კი გამგეობას გამოანგარიშებული აქვს 36,470 მან.

⁂ **ესლანდელად ურიგდება** „ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთ პატარა ბროშურა „თავ. ილია ჭავჭავაძე“ ნადიკვრელის. თავ. ილია ჭავჭაძის სურათით.

⁂ **ძველი ფულების ნაპოვნი მიწაში.** 2 მაისს იმ შენობის შეკეთების დროს, რომელშიაც მოთავსებულია ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, მუშები მიწის გათხრის დროს წააწყდნენ ძველ კედლების ნანგრევებს და ნახეს მრავალი ძველებური ფული, სპარსული და ოსმალური.

⁂ **მარტკბილას წარმოება.** კავკასიის ძირ-ტკბილას წარმოებას მალე ახალი მეტოქე თურმე გაუჩნდება. ამ ჟამად ბარონი კორფი შესდგომია ძირ-ტკბილას წარმოების საქმის მოწყობას მდ. ახუდარიის ნაპირზე (იმიერ კასპიის ოლქში), სადაც განზრახვა აქვს გამართოს ძირ-ტკბილას საწურავი ქარხანა.

⁂ **მოპარული ფულის რაოდენობა.** „წმ. ნიკოლოზის“ გემზე ფოსტიდან მოუპარავთ 2,650 მან. და 40 კ.

⁂ **ნავთის მწარმოებელთა კრება.** ნავთის მწარმოებელთა მომავალ კრების პროგრამაში, სხვათა შორის არის შემდეგი განსახილველი საგნები: აქციზის შემცირება რუსეთიდან გასაზიდ ნავთზე; მხარის დაჭერა ტფილისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობისათვის, ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ და ამ სასწავლებლისათვის შემწეობის აღმოჩენა ნავთის მწარმოებელთა ფონდიდან.

⁂ **საზაფხულო კოლონია (ახალშენი) კოჯორში.** კავკასიის მთავარ-მართებლის თაოსნობით კოჯორში გაიმართება საზაფხულო კოლონია სასწავლებელთა მოწაფეთათვის. კოლონიის მართვა-გამგეობა მიენდობა საგანგებო კომიტეტს მზრუნველის მეთაურობით.

⁂ **კავკასიის საბრეშუმო სადგური** აცხადებს, რომ ფუტკრის სკაში გადაყვანის დემონსტრაცია, რომელიც 3 მაისს აღარ მოხერხდა დაგვიანების გამო, მოხდება, თუ კარგი ამინდი დაესწრო, ოთხშაბათს 6 მაისს შუადღის 12 საათზე; ხოლო თუ ცუდი ამინდი დაესწრო, დემონსტრაცია მოხდება კვირას, 10 მაისს შუადღის 12 საათზე.

ვისაც სურს დაესწროს დემონსტრაციას, პირდაპირ საბრეშუმო სადგურის საფუტკრეში უნდა მივიდეს.

⁂ **ბრძოლა კალიასთან.** როგორც ისმის, ნება მიეცათ კავკასიის საგუბერნიო მთავრობათ ისარგებლონ მახლობელ სახელმწიფო ტყეებიდან იმდენი წნელით, რამდენიც საჭირო იქნება კავკასიაში კალიის კვერცხების გასანადგურებლად.

⁂ **ნავთის მწარმოებელთა შუამდგომლობა.** გაზეთი „Сынъ От.“ სწერს, რომ რუსეთის ნავთის მწარმოებელნი ამ მოკლე ხანში შუამდგომლობას აღძრავენ იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უნდა ამზადებდეს ნავთის წარმოების საქმის სპეციალისტებს. სასწავლებლის შენახვას ჰკისრულობენ თვით ნავთის მწარმოებლები.

⁂ **ქ. მელქუმოვის საქმე.** სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი კარაპეტ მელქუმოვის შესახებ, რომელსაც ძმის მოკვლისათვის მიესაჯა 12 წლით კატორგა.

⁂ **ბაქოელ მოვაჭრე ებრაელთა საქმე.** გაზ. „ტფ. ფ.“-ს ბაქოდან აუწყებენ: „რადგან მოვაჭრე ებრაელთა უმრავლესობას ჯერ კიდევ არ აუსრულებია ბაქოს პოლიცმეისტრის განკარგულება იმის შესახებ, რომ მათი დუქნების წარწერებზე აღნიშნულ იქმნეს ვაჭრების ებრაული სახელები და გვარები, ამის გამო პოლიციის მოხელენი აიძულებენ ამ უკანასკნელთ წარწერების ჩამოღებას, ან-და თვითონვე აძრობენ მათ“.

⁂ **ეტლის დამსხვრევა.** კვირას, 3 მაისს, ალექსეევის მოსახვევში, ექიმ ტერ-მკრტიჩიანცის ეტლის ცხენები დაფრთხნენ, ეტლი იქვე სახლის კუთხეს მიახეთქეს და სულ დალეწეს. შემდეგ ხალხმა დაიმორჩილა ცხენები და გააჩერეს. უბედურება არაფერი მომხდარა.

⁂ **მტკვრის მსხვერპლი ცხენები.** გუშინ, 4 მაისს, დილის 7 საათზე, მადათოვის კუნძულზე ერთმა სომეხმა ნაგავი ჩაიტანა მტკვარში გადასაყრელად საჯაგვეთი, რომელშიაც ორი ცხენიება. საბრალომ ისეთ ადგილას მიაყენა საჯაგვე, სადაც წვიმისაგან მომბალ მიწაზე ცხენებს ფეხი გაუცურდათ და საჯაგვითურთ მტკვარში ჩაცვივდნენ. მტკვარმა მალე მოუღო მათ ბოლო. ორივე ცხენი დაიხრჩო.

⁂ **გადმოსახლებულთა საქმე.** 3 მაისს შესდგა საზოგადო კრება გაჭირვებულ გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებისა. სხდომის გახსნის შემდეგ განყოფილების კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ბუტირკინმა მოახსენა კრებას განყოფილების სასარგებლოდ მემკვიდრე ცესარევიჩის მიერ 500 მანეთის შეწირვის შესახებ. ამასთან ბ. ბუტირკინმა წინადადება მისცა კრებას მომანდვეთ პირადად მე ღრმა მადლობა გამოვუცხადო მის უმაღლესობას განყოფილებისაგანაო. კრება შემოწირულების ამბავს აღტაცებულ „ურა“-ს ძახილით მიეგება და ბ. ბუტირკინს მიანდო პირადად მადლობის გამოცხადება უავგუსტოეს შემომწირველისათვის. შემდეგ კრებას ეუწყა გ. ზ. ტაგიევის მიერ 500 მან. შეწირვის ამბავი, რომელსაც მადლობით მიეგებნენ. დამფუძნებელ კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, კრებას მოხსენდა, რომ საზოგადოების თანხას ამ ჟამად შეადგენს 5000-მდე მანეთი. შემდეგ მ. ველიჩკომ წაიკითხა კომიტეტის მიერ შედგენილი სამოქმედო პროგრამა, საიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებას განზრახვა აქვს დააარსოს ტფილისში თავ-შესაფარი გადმოსახლებულთათვის, იყოლიოს წევრნი —კორესპოდენტნი კავკასიის სხვა და სხვა კუთხეში, რომელთაც თავის დროზე უნდა აცნობონ ხოლმე საზოგადოებას გადმოსახლებულთა მოძრაობა. საჭიროება და სხვა. ამასთან განყოფილების მოქმედება შეეხება არა მარტო ადგილების მძებნელ გადმოსახლებულთ, არამედ დაბინადრებულსაც. განყოფილების სამოქმედო პროგრამის დამტკიცების შესახებ გენ. სმირნოვმა განაცხადა ამ კითხვის გადაჭრა არ შეიძლება მანამ, სანამ უფრო დაახლოვებით არ გავიცნობთ მასაო; ამისათვის კი საჭიროა წინ და წინ დაიბეჭდოს ეს პროგრამა და დაურიგდეს ყველა წევრთაო. კრებამ დაადგინა: იხელ-მძღვანელოს კომიტეტმა წაკითხულ პროგრამით და დაბეჭდვის შემდეგ დაურიგოს იგი ყველა წევრთ მომავალ კრებამდე, რომელიც ოქტომბრისათვის არის დანიშნული („ნ. ო.“)

⁂ **ჯიხეთის დედათა მონასტერი (გურია).** ბევრს დაბებსა და სოფლებში სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჯერ საქალებო სასწავლებელი და აქ კი ეს მესამე წელიწადია, რაც დაარსდა ერთ-კლასიანი უფასო საქალებო სასწავლებელი პატივ. მთავარ-დიაკვანის სვიმონ ჩიჩუას თაოსნობით და შრომით. აკურთხეს თუ არა, ბ-ნი ჩიჩუა ამ ეკლესიაზედ ამავე დღიდან შეუდგა ამ საქმის განხორციელებას და მართალია ბევრ გვარი დაბრკოლება აღუდგა წინ, როგორც საზოგადოთ არის ჩვენში, მაგრამ საბოლოოდ მისი ენერგიული შრომით მაინც დაამთავრა საქმე და მთავრობამ დაუნიშნა მასწავლებელი ქალი (ქ-ნი მარიამ სურგულაძის ასული), რომელსაც ნამდვილად შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა და კეთილ სინდისიერადაც ემსახურება თავის დანიშნულებას და თუ პირველ წლებში მოსწავლე ქალების რიცხვი 15 არ აღემატებოდა, დღეს-კი 45 აღემატება, რომლებიც გულ-მოდგინედ სწავლობენ, რომ ერთი გარემოება არ უშლიდეს ხელს. ამ სასწავლებელში არის დანიშნული სამღრთო სჯულის მასწავლებლად სამების ეკლესიის მღვდელი მამა ხონელია, რომელიც ხუთი ვერსის მანძილზედ არის სასწავლებლიდამ. შეიძლება არც მამა ხონელიას სურდეს, რომ მისი შეგირდები თითო კვირაობით მოშორებული იყვნენ მის გაკვეთილს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მამა ხონელია, რომელსაც აბარია სამების ეკლესია და რომელიც ასწავლის სამღრთო სჯულს ამავე სამებისავე ეკლესიის სამრევლო სასწავლებელში, დანიშნულია ოზურგეთის სასულიერო სკოლის დეპუტატადაც, სადაც თითო კვირაობით ხშირად მოუწევს დაყონება სხვა და სხვა კრებების თუ საქმეების გამო. აგრეთვე ითვლება ბლაღოჩინის კანდიდატად, რომელიც ბევრ დროს თხოულობს, რადგანაც ბლაღოჩინის არ ყოფნის დროს მან უნდა აასრულოს მისი მოვალეობა და სხვ. აი, ეს არის მიზეზი, რომ ჯიხეთის დედათა მონასტრის სასწავლებელი მოკლებულია საღმრთო სჯულის სწავლას, თუ მეტი არა, ნახევარჯერ მაინც. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ ამ საქმის ასრულება სხვისთვის მიენდოთ? მით უმეტეს, რომ მამა ხონელიას თავისსავე ეკლესიაზე აქვს სამრევლო სასწავლებელი, სადაც ასწავლის სამღრთო სჯულს და აბა ერთი კაცი როგორ უნდა გასწვდეს ყველაფერს?!

თავისუფალი

⁂ **ს. დისევი** (ქართი). **მკვლელობა.** ამ დღეებში გორის მაზრაში, სოფ. სლექვის გზაზე, სოფ. დისევის მცხოვრებმა გიორგი ოქროპირიძემ კეტით მოჰკლა სოფ. მერეთის მცხოვრები ლაზარე საბაშვილი.

⁂ **ქუთაისი** **საქველ-მოქმედო საღამო.** დღეს ქ. ქუთაისში გაიმართება სამუსიკო სალიტერატურო საღამო კლასიკურ გიმნაზიის იმ შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომლებიც წელს ამთავრებენ კურსს. მიზანი საღამოსი, რა თქმა უნდა, ფრიად სიმპატიურია და ამიტომ საიმედოა, რომ საღამო მრავალ საზოგადოებას მიიზიდავს.

⁂ **ს. სპექვი** (ქართლი). **ნედოიმკების გადახდის საქმე.** როგორც ისმის, სოფ. სპექვის (გორ. მაზ.) მცხოვრებთ, მათი ეკონომიური გაჭირვების გამო, ნება მიეცათ გადაიხადონ საგუბერნიო საერო გადასახადის ნედოიმკები ნაწილ-ნაწილად 6 წლის განმავლობაში, 1898 წლის 1-ლ იანვრიდან, და ამავე ვადით დასცალდათ სახელმწიფო საერო გადასახადის ნედოიმკების გადახდაც.

⁂ **ქ. ოზურგეთი.** **მეაბრეშუმეთა დაღონება.** ვინ არ იცის, რომ საზოგადოდ გურიაში პარკის მოსავლით დიდ სარგებლობას მოელიან და თითქმის ყოველივე გადასახადს ამით აკმაყოფილებენ. მეოჯახე ქალები სიხარულით ელიან აბრეშუმის თესლის ყიდვას და ერთი მეორეს ეჯიბრებიან, ვინ ბევრს გააკეთებს და კარგად მოუვლისო, მაგრამ წელს კი ბევრს გაუცრუვდათ იმედი, რადგანაც აბრეშუ-

მის თესლი სანთლით საძებარი შეიქმნა. მეორე კიდევ ისე ძვირადაა, რომ ამ ბოლოს დროს 4 მანეთზე ავიდა კოლოფის ფასი. ეს კიდევ არაფერი, ნათქვამია: „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“, მაგრამ საუბედუროთ ამ მუმიათ ნაყიდ თესლს უვარგისობა დაეტყო ჯერ-ჯერობით. ბევრი გამოსვლის უმალვე სულ მთლად წყდება, რამაც მეაბრეშუმე ქალები დიდად აღაშფოთა არ იციან თესლის ბრალია თუ ცუდი ამინდების, თუმცა მიზეზი თესლის უვარგისობისა უნდა იყოს. მგონია, რომ „შუამავალის“ ამხანაგობა არ ინებებდა ხალხის დაღუპვას და თავის ნდობის დაკარგვას, მხოლოდ ნამდვილი კი არ გამოირკვევა კერძო ვაჭრების გაცემულ ყაჭის თესლი უფრო ხდება ავად თუ ამხანაგობისა.

—სიმინდის ფასი. „ზოგიერთი ჭირი მარგებელია“ ნათქვამია და სწორედ რომ ასე გვჭირს, საზღვარ-გარეთ გამოლეულა საზრდო, მაგრამ ჩვენში სიმინდი თავზე საყრელად არის და ფასიც კარგა აიწია ასე, რომ ფუთი 55 კ. ავიდა. დიდ ფაცა-ფუცშია ბევრი სიმინდის პატრონები და იმათ სიხარულს საზღვარი არ აქვს. ასე, რომ ეხლა გურიიდგან ბევრი სიმინდი მოდის აქ და ვგონებ 80 კაპეიკიც გახდეს ფუთი.

მე ვარ

⁂ **დ. ონი** (რაჭა). **ბიბლიოთეკის შესახებ.** ბ-ნ ნ. მრევლიშვილის წყალობით ონში არსებობს უფასო სამკითხველო, რომელსაც, ჩვენდა სანუგეშოდ, თანდათან გაუმჯობესება ეტყობა, მაგალ. წელს ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს ყველა ქართული გამოცემები და აგრეთვე რუსეთის საუკეთესო ჟურნალ-გაზეთებიც. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ვერ არის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული სამკითხველო; მას არა აქვს საკუთარი სახლი და მოთავსებულია დროებით მუქთად დათმობილ დაქვარცხულ ქოხმახში.

პრომეთეოსი

⁂ **ს. აკეთი** (გურია). როგორც უკვე ცნობილია, ამ ორი წლის განმავლობაში საზოგადოდ გურიაში და კერძოდ ჩვენს სოფელში მოსავლის ნაკლებობა იყო, რამაც კიდევ უფრო გააღარიბა ისედაც ღარიბი ხალხი. ამიტომ გურიის ბევრს საზოგადოებას დარჩა შეუტანელი საფოსტო და სხვა სახელმწიფო მოთხოვნილება. აკეთის საზოგადოებას დაედვა 1898 წლამდე ნედოიმკა 2,400 მან.; ამ წლის თებერვალში მამასახლისმა მოახდინა ყრილობა ახალი ხარჯის გასაწერად და ძველის მოსაკრეფად. საზოგადოებამ დაადგინა ოქმი: დაუნიშნა ფულის მომკრებთ ორ-ორი კაცი და დაავალა შეეტყო—მართლა არის საზოგადოებაზე დარჩენილი 2,400 მან., თუ სოფლის მმართველების ჯიბეს დასცილდა და დაიკარგაო. როგორც სასოფლო წიგნების ანგარიშებიდან ჩანს, ფულის მომბოჭველთ შემოპარჯვიათ 20—30 თუმნამდე. ამ საზოგადოებისათვის ამდენი ფულის ერთად გადახდა ძალიან გასაჭირო საქმე იქნება.

ლ. დუმბაძე

⁂ **ს. ღები** (რაჭა). **მადნები.** აქ ცხოვრობს ერთი ხნიერი მონადირე სიმონა გავაშელიშვილი, რომლის ყურადღებაც მიუპყრია ნადირობის დროს არა ჩვეულებრივ ბრჭყვიალა კლდეებსა და ლოდებს. აუღია და ერთი ნამტვრევი ამ გვარ ქვისა მცოდნე კაცისათვის უჩვენებია.

გაიგო თუ არა ჩვენმა სიმონმა, რა საიდუმლოც იფარებოდა ხსენებულ კლდეებში, მყისვე შეუდგა საქმეს, გაიჩინა ამხანაგები და სადაც ჯერ იყო სანიმუშო მადნის ნაჭერი გაგზავნა. მას შემდეგ ორჯერ გვესტუმრა სამთო ინჟენრები ადგილობრივ პირობების შესატყობათ. ამ უკანასკნელ დროს ღების მიდამოებში აუარებელი მადნების განძი აღმოაჩინეს და ამ ზაფხულს მუშაობის დაწყების განზრახვაც აქვთ.

— **სამკურნალო წყალი.** ღების მახლობლად ასე ორი სამი ვერსის მანძილის სიშორეზე მიწიდან ამოჩუხჩუხობს ერთგვარი სუნიანი წყალი. ხსენებული წყლით უფრო ქარებით ავადმყოფები რჩებიან. ურიგო არ იქნება, რომ ვინმე ქიმიურათ გამოიკვლევდეს ამ წყლის ღირსებას და გამოაქვეყნებდეს.

პრომეთეოსი

⁂ **ჩოხატაური.** **ბანქოს თამაში.** ჩვენს სოფელ-ქალაქში ძალიან გახშირდა ქაღალდის თამაშობა, ღამის ყარაულები 8 საათზე აკეტინებენ დუქნებს და ამის შემდეგ მოუყრიან თავს ნოქრები და ყარაულებიც ერთს განცალკევებულ დუქანში, სადაც დილის 5—6 საათამდის გაისმის „ტუზი, ბუბნი და ტრეფი!“

⁂ **ს. ჭყუში** (ქუთაისის მაზ.) **დამხრჩვალი კაცის ჰოვნა.** 20 აპრილს მდ. რიონმა ჩამოატარა დამხრჩვალი კაცი, რომელიც მას თავქვე დამხობილი მიჰქონდა. გვამი თოკით გამოათრია მეთევზემ და ჩააბარა ადგილობრივი მამასახლისის თანაშემწეს. გვამი აღმოჩნდა სოფ. უხუთის მცხოვრების ვიღაც კაპანაძისა. თურმე ეს კაპანაძე და ორიც სხვა (ჩალანდრები) სახლში მიდიოდნენ დ. სამტრედიიდან. მისულან ბორანზე და წყალი მომატებული დახვედრიათ. ბორანს რაღაც მიზეზისა გამო ხელი შეშლია და სამივე მგზავრი წყალში ჩაცვივნულა ცხენებიანად. ორი მათგანი გასულა, კაპანაძე კი ჩაუთრევია წყალსა და ჩაუხრჩვია.

ისევ აქ ვარ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო 1898 წლ. აპრილის განმავლობაში;

1, საწევრო ფული

ა) ნამდვილის წევრების

	მ.
1, ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილისაგან . .	6
2, მღვ. კალისტრატე ცინცაძისაგან	6
სულ . .	12

2) ყულაბებით შეგროვილი ფული

1, ნინო ბეჟანის ასულის ყიფიანისაგან . . .	68—34
2, ნინო მიხეილის ასულის მაჰავარიანისაგან	5—07
სულ .	73—41

3) შემოწირულობანი

1) კნ. ან. წერეთლისაგან სოხუმში გამართულის წარმოდგ. შემოსავალი	160—„
2, საზოგადოების აგენტის თომა ჰთავრიშვილისაგან	60—„
სულ .	220—„

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ

რედაქციისაგან

ახალ-სენაკში პრიხოდის მასწავლებელ ს. ისევ ისა სჯობია, რომ ამ წერილით თვითონ ,,მეურნეს'' რედაქტორს ბ-ნ ი. ჭყონიას მიმართოთ და იგი მოგცემთ გადაჭრილ პასუხს.

ხიდისთავში ლ—ძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა. 3 მაისს კვირას, იაფ-ფასიან ავჭალის სასადილოში, გამართული იყო ქართული წარმოდგენა. თამაშობდნენ ავქ. ცაგარლის ოთხ მოქმედებიან კომედიის „ხანუმას“.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები ბ. შვე ძემ (აკოფა), ქ. ქ. წულ—ძე (სონა) სვა—ძე (ქაბატუა) საყ—ძე (ხანუმა) ბ. ბ. ჯაბ—რი (კოტე) იმედ—ლი (მიკიჩა) ანან—ლი (ტიმოთე), არა უშავდათრა ქ. ქ. დემ—ს (სარა) ხაპ—ს (თეკლე) და გომ—რს (ვანო ფატიაშვილი).

სამეურნეო ცნობანი

ჭიის სნეულებანი და მათთან ბრძოლა. სიყვითლე. როგორც სახელი ამტკიცებს, სიყვითლით ავადმყოფი ჭია ყვითელია, ან არა და ჩვეულებრივი რძისფერი თეთრია. ამ სენს საუბედუროთ ყურადღებას არ აქცევენ არსად და ამის შედეგი ის არის, რომ იმ დროს, როდესაც ჭია ემზადება ცახზედ (ცოცხზედ) ასასვლელად, ყვითლდება და სტოვებს პარკის ქსოვას. ან თუ ავიდა და დაიწყო პარკის კეთება, ვერ ათავებს. სიყვითლე უჩნდება ჭიას მეოთხე კანის გამოცვლის შემდეგ და უფრო ცახზედ ასვლის დროს. სიყვითლით ავადმყოფს მადა არ ეკარგება, სულ სჭამს, სანამდინაც არ მოკვდება, ტანი უმოკლდება და ამასთან მსხვილდება, ივსება თითქო წყლით და როცა კანში ტანი ვერ ეტევა, კანი სკდება და იქიდან წვენი გამოდის, შემდეგ კვდება სენიანი ჭია და, თუ დააყოვნდა, რასაკვირველია, აქოთდება და გააფუჭებს ჭვერს, რითაც შესაძლებელია სხვა სენი გაჩნდეს. საუბედუროდ ეს სენი არ არის რიგიანათ შესწავლილი და წამლობაც არ იციან.

ჩემი ხანგრძლივი პრაქტიკა ამართლებს მეცნიერ პასკალის აზრს შესახებ ამ სენის გაჩენის მიზეზისას. ის გვირჩევს: „ნამეტარ წვნიან, მსუქან ფოთოლს ნუ აჭმევთ ყაჭებსაო“. მე კი შემინიშნავს შემდეგი: სიყვითლე უმეტესად იქ ჩნდება, სადაც ჭიებს აჭმევენ ფოთლებს ნორჩს, სულ ახალგაზრდა შტოებიანს. ეს შტოები ძალიან რბილია, წვნიანია და ამასაც ჭიები თითქმის ისე სჭამენ, როგორც ფოთოლს, უმეტესად მაშინ, როცა ფოთოლი შემოელევათ და დარჩებათ ეს ნორჩი შტოები. რადგანაც შტოებიან ფოთოლს აძლევენ უფრო უკანასკნელ კანის გამოცვლის შემდეგ, ამიტომ ამ დროს სიყვითლეც ჩნდება.

ეს ნათლად მტკიცდება იმით, რომ ჩემი ჭიები ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში ისე ადიან ეხლა ცახებზედ (ასვლა დაიწყეს 30 აპრილს), რომ ერთი ჭიაც არ გამხდარა ავათ სიყვითლით. ამიტომ ვურჩევ ყველას თავი დაანებოს ფოთლების ჭმევას ნორჩ შტოებზედ, უმჯობესი იქნება ფოთოლი წმინდათ მოაშოროთ შტოებს და ისე აჭამოთ. სიყვითლე გადამდები სენი არ არის, მაგრამ რომელიც გახდება ავათ ამ სენით, უსათუოდ მოკვდება და ამიტომ ავადმყოფს ჩელტებზედ ნუ გააჩერებთ, რადგანაც შესაძლებელია მოკვდეს ისე, რომ თქვენ ვერ შენიშნოთ, დალპეს და ცუდი სუნი გაავრცელოს. უფრთხილდით სინოტივეს სააჭეში და ხშირათ იქონიეთ კარი ჭიებთან ახდა.

ნ. მკურნალი

სამეცნიერო ცნობა

პირველ-ყოფილი ოჯახი. განვითარების საფეხურზე დგანან დღესაც მრავალნი ხალხნი, რის გამოც მათში წარმოდგენაც-კი არაა ქალის სიწმინდეზე და უმანკოებაზედ. აფრიკის ზოგიერთ ველურებში თუ ქალი გათხოვებამდის რამე მანქანებით უმანკო დარჩა, მაშინ ჰქირაობს ვისმეს და პირველ ღამეს მას აძლევს თავისს ცოლს. გამოჩენილნი კაცნი ამის ასასრულებლად ქურუმებს ჰქირაობენ ხოლმე და დიდს გასამრჯელოსაც აძლევენ. ასეთი თავისუფლება, რასაკვირველია, მავნებელი უნდა იყვეს და ხალხის დამღუპველ-გამათახსირებელი. მაგრამ საკმარისია ჩაუკვირდეთ ველურების ცხოვრებას, რომ მათშიაც ვსცნოთ თავ-დაჭერილობა და მოთმინება. ინდოელებსაო, ამბობს აპუნი, რომელმაც მათში დიდხანს იცხოვრა და ინდოელივე ქალი შეირთო ცოლად, სრულებით არა აქვთ ისეთი აღგზნებული სქესებრივი ლტოლვილება, როგორსაც განათლებულ ხალხში ვხედავთ. აქ სრულიად ვერ შეჰხვდებით ქალთა და კაცთა შორის ხუმრობას, ისინი დიდის მოწიწებით და პატივით ეპყრობიან ქალებსაო.

დავუბრუნდეთ ისევ იმ კერას, სადაც დედის ირგვლივ შეკრებილა მთელი ოჯახი. ვაჟიშვილი ანებებდა დედას თავს და სანადიროდ ან სხვასთან მიდიოდა, ქალიშვილები დედასთან რჩებოდნენ, მაშინაც-კი, როცა შვილები ეყოლებოდათ. მათს ქმრებს მოჰქონდათ ნანადირევი ოჯახში და აუკეთესებდნენ ოჯახის საზრდოობას, სანამ ოჯახი რაიმე მიზეზის გამო არ გაიყოფოდა. სწორედ ამის გამო აიხსნება ის ჩვეულება, რომელიც ჯერ ეხლაც სუფევს მრავალ ველურ ხალხთა შორის და რომელზედაც გვიმოწმობენ სტრაბონი და სხვა მრავალნი მეცნიერნი. სიძე სახლდებოდა სიდედრის ოჯახში და თან მიჰქონდა მზითევი, სწორედ ისე, როგორც ეხლა ქალები. ეს გარემოება ნათლად გვიმოწმობს, რომ კაცებს-კი არ მიჰყავდათ ცოლები დედის ოჯახში, პირიქით თითონვე სტოვებდნენ მას და სხვა ოჯახს უერთდებოდნენ. ამ რიგად მთელი საცხოვრებელი და ქონება უნდა დარჩენოდა დედას, რომლიდანაც შემდეგში იგი ქალებზე გადადიოდა. ასეთ ნაირად იყო მოწყობილი პირვანდელი ოჯახი და ამ სურათს წარმოადგენდა.

შ. ფრონელი

⁂ **თხების გულის-ხმიერობა.** თხებს, კლდეებზე სიარულის გარდა, ბუნებისგნით კიდევ სხვა რამე აქვსთ მითვისებული. მათ მოქმედებაში ბევრჯერ შენიშნულა სჯის ნიჭი. ამას გვიჩვენებს ერთი შესანიშნავი შემთხვევა, რომელმაც სიმაგრე პლიმუევში დიდი ყურადღება გამოიწვია. ორი თხა სიმაგრის გარეგან კედელზე ასულიყვნენ და მწვანე ბალახს ტკბილად შეექცეოდნენ, რომელიც სიმაგრის ქვებსა-და-ქვებს შუა ამოსულიყო. თუმც ცხოველები დროთი დრო ჩერდებოდნენ სიარულის დროს და ზევიდგან აქა იქ მხიარულად იცქირებოდნენ, მაინც ერთი ერთმანეთს ნელ-ნელა შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ და ბოლოს იმ სიმაგრის ვიწრო კედელზე შეხვდნენ კიდეც. მათი მდგომარეობა სწორედ რომ კრიტიკული იყო. ბილიკი ისე ვიწრო იყო, რო თხებს არც გასვლა და არც მობრუნება არ შეეძლოთ. ეხლა გასვლა როგორ უნდა მოეხერხებინათ, რომ კლდეში არ გადავარდნილიყვნენ კედლის წინ აუარებელი ხალხი მოგროვდა და კიდეც ამ თამაშას დიდი სიყვარულით უცქერდნენ. ვერა ადამიანმა ვერ მოახერხა მათი გადარჩენა ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა თხამ დაიჩოქა მერმე გვერდზე დაწვა და ამასთანავე სცდილობდა, რომ ფეხებით მაგრა მიბჯენებულიყო და კლდისკენ არ გადაცურებულიყო. მეორე თხამ კი ამ დროს ისკუპა და მწოლარე თხას გადაახტა. ამ მოხერხებით ორივე თხები ხიფათს გადარჩნენ და წყნარად განაგრძეს თავიანთი გზა. ვერა ადამიანი ვერ მოახერხებდა ამისთანა შემთხვევაში უფრო მოხერხებულ გასავალს, როგორიც თხებმა მოიგონეს. აი კიდევ მეორე მაგალითი, რომელიც ცხადად გვიმტკიცებს თხების სიმამაცეს. ზოოლოგიის ბაღის დირექტორი ბრუე მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც იგი გაშინაურებულ ლომს ათამაშებდა, მასთან მიიყვანეს ახლად ნაყიდი თხების ჯოგი. თხებს ლომის დანახვაზე ისე შეეშინდათ, რო იმ წამსვე აქა იქ გაიქცნენ და დაიმალნენ. მხოლოდ ერთ თხას არ შეეშინდა და ისევ იმ ადგილას დარჩა. თხამ ლომს დახედა თუ არა, ფეხებით დააბრაგუნა და ამაყად შეხტა, მერმე უკან დაიწია, გაექანა და რქებით ისე დაჰკრა ლომს, რომ იგი მაშინვე დარეტიანდა. თხამ ეს დაცემა რამდენჯერმე გაიმეორა, მინამ ლომი გონზე მოვიდოდა. ამ შემთხვევამ ლომი ისე გააკვირვა და შეაშინა, რომ მალე თავის პატრონს მოეფარა და ბრძოლა გათავდა კიდეც. თხების სიმამაცეზე არა ნაკლებ მოგვითხრობს პანტოპიდანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ თხამ ბოსელში ყოფნის დროს იატაკის ქვეშ რაღაც ხმაურობა მოესმა. ეს ფოცხვერი იყო, რომელიც იატაკის ქვეშიდგან ბოსელში გზას იკეთებდა და რომელსაც თხის მოკვლა და მისი სიხლის დალევა სურდა. მაგრამ თხებმა კურდღლური ძილი იციან და ამიტომ თხა თავის სტუმარს დიდი ხანი უცდიდა. ფოცხვერმა იატაკიდან თავი ამოჰყო თუ არა, თხამ რქებით ისე დასცა, რო სული მაშინვე იქვე გამოთხრილ ორმოში დალია. დილით თხა იმ მდგომარეობაშივე ნახეს, როგორშიაც იგი ფოცხვერთან ჩხუბის დროს იყო: მისი რქები ისევ ფოცხვერს გაჰრჭობოდნენ და თხას მათი გაშვება ალბათ ეშინოდა.

აი კიდევ ერთი მაგალითი, რომელსაც თხების სიმამაცე და გულის ხმიერობა განუსაზღვრელ მდგომარეობამდე აჰყავს. ერთ ბოდა აქვე ორი თხა იყო დაბმული და აქვე ორი კურდღელი იმყოფებოდა. ერთი უფრო მოზრდილი კურდღელი მეორეს ყოველ დღე მოუსვენრად სდევნიდა და ჰკბენდა კიდეც. კურდღელი დევნის თავისაგან მოშორებისთვის ბოსლის კუთხეში მიიმალა, სადაც თხები იყვნენ მიბმულნი. ერთი თხა მდევნელ კურდღელს დიდი ხანია ბრუდედ უცქეროდა, გაცხარდა კიდეც. ეს თხა ალბათ დაჩაგრულ კურდღლის მდგომარეობაში შევიდა და დაჰნანდა კიდეც. როდესაც ერთი კურდღელი მეორე კურდღელს უახლოვდებოდა ჩხუბის ასატეხად, გაცხარებულმა თხამ დაავლო მას კბილებით კისერში, აიტანა ჰაერში, გასწია-გამოსწია და ბოლოს ძირს ისე დაანარცხა, რომ კურდღელმა სული იმ წმსვე დალია. მეორე კურდღელს კი თხამ წყნარად შეხედა, ეალერსებოდა და კურდღელს ის ადგილი ამისთანა შემთხვევაში სიმაგრედ და უშიშარ ადგილად მიაჩნდა, რადგანაც იგი იმ ბოსლის კუთხეში თავისს მფარველს და მხსნელს ხედავდა.

პავლე მოსულიშვილი

* * *

განცხადებანი

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლულის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალი ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი 1898 წ.
ფასი თითო ნაჭერისა **50** კაპ.,
½ ნაჭერი **30** კაპ.
ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში
პირველი საწყობი მთელის რუსეთისთვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს, დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, წურინოვთან, გრივნიკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—18)

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნძულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერსავე ყდით (თითო)	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერი ყდით	1-25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—25
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	0—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—59
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	
სიბრძნე-სიცრუვე, მისივე	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე	1-50
სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1-50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით	1—„
იგავ-არაკნი, მისივე	„—20
ღვინის დაყენება, პროფესორის გ. პეტრიაშვილისა	2—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—50
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტის	1—„
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა	1—50
დასტურ-ლამა, თხზულებანი ნიკოლოზ დადიანისა	„—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით	„—30
სიბრძნე ბალავარისა	„—30

(100—66)

გამოვიდა და ისყიდება
„ცნ. ფურც.“-ს გამოცემა № 2
თავ.
ილ. ჭავჭავაძე
(წერილი ხალხისათვის)
ნადიკვრელისა
ფასი **2** კაპ.
ასი ცალი იყიდება 1 მ. 30 კ.
ორასი — — 2 მ. 20 კ.
სამასი — — 3 მ.
ცსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას.

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო

ფის-გარმონიები, სკრიპკები, იგიტარები, ლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკოარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
გ. მ. მირიმანიანისა
Музыкалчное депо
Б. М. Мириманіана
Тифлисъ, Дворцов. ул.
(54—10)

წლიური
საზოგადო კრება
„ქართველ ქალთა ამხანაგობის“
წევრთა
დანიშნულია 9 მაისს, დილის 11 საათზე, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, ფედოროვის სახლი № 19.
განსახილველია შემდეგი საგნები:
1) წლიური ანგარიში ამხანაგობის გამგეობის მოქმედებისა 1897 წელს.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.
4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.
5) მოხსენება აღებ-მიცემობის შესახებ.
6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (6—2)

ტფილისის ბაზარი

ფქვილი I-ლი ხარ.	ფუთი	130—140
„ 2 „	„	105—130
„ 3 „	„	105—110
ხორბალი პურისა	„	90—120
ქერი	„	75—76
შვრია	„	95—100
თივა	„	28—03
ბზე	„	20—22
კარტოფილი	„	50—60
ახალი ლახანა	„	45—50
ხახვი	„	60—70

ქირავდება სამი ოთახი
სამზარეულოთი და წყლით და ყოველივე ავეჯით და მორთულობით ოთხის თვით პირველ ენკენისთვემდე
ფრანგების ქ., ტერ-პეტრუზოვის სახლი
ფასი თვეში 40 მან.

ახლად გახსნილი
სტამბა
„ცნობის ფურცლისა“
ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119, 120 და 121
✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦
ყოველ-გვარი საქმე სრულდება სწრაფად, სუფთად და იაფად.
სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.
ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ
ТИПОГРАФІИ
„Цнобисъ Пурцели“
(В. Л. Гуніа)
Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ.
Дешевизна, изящество и быстрота исполненія.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухгальтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній —
преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**
Плата за весь курсъ 60 руб.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.
Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.
Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и - автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**
(100—2)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში
ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს
დაზღვევას ცეხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.
მთხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლებ იჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.
Страховое Общество „ЯКОРЬ“
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской пл. д. кн. Цицінова № 2. (50—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Мая 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**